

№ 21 (1391)

ნოემბერი

1972


საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის
საქსი

გამოცემის 49-ე წელი უახლესი 20 კპპ.




წინ, წინ, სამშობლო მხარე! ჩვენ წინ მივვლით
წრფელი
ის მკობრები, რომელსაც უმცირესი მსოფლიო მითა!
გამოქანება მალაქრი ცხრას ჩვიდმეტის ტალღის —
ეს არის ძალა, ნება და მისწრაფება ხალხის,
ეს არის სული ხალხის, ეს არის გული ხალხის,
ეს არის ნება ხალხის, ხალხის და მხოლოდ ხალხის!

გალაპტიონი



— ჩვენი ბრალია, არ უნდა დაგვეფაროდა თივის დაფა-
დება!

ნ.ბ. დ. ფორტისიძისა



— ექიმო, უძილობა მქონდა: სიზმარში სულ ქრთამს ვი-
ღებ და მერე აღარ გეძინება!
— ნუ აიღებ და დაგეძინება!

ნ.ბ. დ. ფორტისიძისა



— კაი ახლა, ქალო, ახალე ამ ხალხსაც ცოტა
ოცნეული ხოვ მიყავი შვნი პატიმარი?

ტაშიკოლა და ვახშაპეტი

ეროვნული
და ეს ქვეყანა

ტაშიკოლა ვინ არის და რატომ არის და ვახშაპეტი ვინ არის და რატომ არის, ამაზე თუ არაფერს ვიტყვით, ის მაინც ვთქვათ, რომ, რაც ტაშიკოლაა, ვახშაპეტი ის არ არის, ანუ, რაც ვახშაპეტი, ტაშიკოლა ის არ არის. კიდევ ანუ: ტაშიკოლა სხვაა, ვახშაპეტი — სხვა. ვთქვათ ისიც, რომ სანამ ჭკუა არ ჰქონიათ, ერთი გზით უფლიათ. მერე, როცა ჭკუაში ჩამდგარან, ყველას თავ-თავისი ჭკუით გაუხარებია და, ბოლოს, სხვისი ჭკუით მოსულები ყველანი თავთავიანთი გზით წავლენ. ჩვენში დარჩეს და, თავისთვის ყველა ჭკვიანისა და გვიყ. ტაშიკოლა რომ ვახშაპეტოსათვის გი-ეია, თავისთვის ჭკვიანია და ვახშაპეტი რომ თავისთვის ჭკვიანია, ტაშიკო-ლასათვის გიყ. ტაშიკოლა ვახშაპეტოს სიგარძე-სიგარძის მეტრი არ არის და ვახშაპეტი — ტაშიკოლას ჭკუის ჭკუი. ისე რომ, იმის გარდა, რაც ტაშიკოლა არ არის, დანარჩენი სულ ვახშაპეტი. ერთი სიტყვით: რაც ტაშიკოლაა, ვახშაპეტი ის არ არის, ანუ, რაც ვახშაპეტი, ტაშიკოლა ის არ არის. ორი სიტყვით: ტაშიკოლაა ტაშიკოლა, ვახშაპეტი ვახშაპეტი. სხვაგვარად, ტაშიკოლა და ვახშაპეტი სულ სხვადასხვა დასტანა არიან. და იმით, რომ ტაშიკოლა სხვა დასტანაა, მისი ხასიათიც სულ სხვაა, მისი თმავარცხნილობაც, მისი პერანგის ფერიც, მისი ნაბიჯიცა და მისი გრამაფონის ფირფიტაც, ანუ მისი „სპილოლას“ სიმღერის ტალღებიც. ვახშაპეტი თბილისელი კაცია, ცხრა შვილი ჰყავს და ცხრა წელია ბინის მო-საღებად რიგში დგას. ტაშიკოლამ გუშინ სამოთხიანი ბინა მიიღო, დღე: ოთხთახიანში ფარფაშობს და ხვალ უკვე ხუთთახიანში გადასვლელად ემზადება. ვახშაპეტი რომ დასაძინებლად წვება, კარს ღიად დარჩენია დარდი არა აქვს. ტაშიკოლა ფიზიკობს და მაინც ცხრაკლიტულშია ჩაყე-ტილი. ვახშაპეტოს ბინის კარზე ყოველთვის მოწვევით აკაკუნებენ, ტაში-კოლა დღე-დღეზე ელის უბოდიშო დაკაკუნებას. თითქმის პირის გემოც სხვადასხვა ჰქონდეთ: რასაც ტაშიკოლა მიირთმევს, ის ვახშაპეტოს ვერ მიართვებს და რასაც ვახშაპეტი ზერიახვს, იმას ტაშიკოლას ვინ აჯადრებს! ალბათ ამიტომაც ტაშიკოლას მუცლის ფეოგრაფიული პროფილიც შეიცვა-ლა და მისი ლოყების მოხატულობაც. ტაშიკოლას თავისი იაქე შვილი სკო-ლაში საკუთარი მანქანით დაჰყავს, რადგან სახელმწიფო მანქანით ცოლი საბარეკანეროში დადის. ვახშაპეტოს, აბა, ცხრა შვილს სკოლაში სატა-რებლად ავტობუსს ხომ არ მისცემენ! ვახშაპეტოს რომ შოგადაშვებ უტყოს, ტაშიკოლას უყვიროს, რადგან მას გადაბმულად უღონის. ვახშაპეტოს ცოლი თუ ავალოდა, ტაშიკოლას ცოლი სწორედ მაშინ კვდება სიცოლით. ვახშა-პეტოს ცოლს სულ სამი საგარეო და ორი საშინაო კაბა აქვს. ტაშიკოლას ცოლს, რამდენჯერაც ფანჯარაში გამოიხედვას, იმდენჯერ სულ ახალ-ახალი კაბა აცვია. ვახშაპეტოს ცოლი ვერ შეუხაზავს ისე, როგორც ტაშიკოლა საყვარლებს ინახავს. ტაშიკოლას ყველაფერი აქვს, სინდისის გარდა, და ვახშაპეტოსი მაინცა ჰქუტს. სინდისისმარა ვახშაპეტოს კი ტაშიკოლასი მაინც არა ჰქუტს. ჰოდა, ტაშიკოლა და ვახშაპეტი ერთმანეთში, აბა, რო-გორ მოვლენ!

ისე, ერთსა და იმავე დროში ცხოვრობენ, ერთი და იმავე ამბების მომ-სწერ-მოწამენი არიან, სადაც ერთმანეთის ნაწილიც არიან, რადგან ტაში-კოლამ ვახშაპეტოს ამბავი იცის და ვახშაპეტომ — ტაშიკოლას სახალ-დასავალი. მათ შორის ერთ-ერთმა, რამდენიმე დღით ადრე, მეორის შესახ-დობარი უნდა დალიოს...

პილოტი

ბოლოს და ბოლოს, ეს ქვეყანა ვის შერჩენია და როგორც აქამდე დასტა-დასტა მოდიოდნენ და მოდიოდნენ ცოდვით საჯე თუ უცოდველი აღაშინებენ, ტაშიკოლა და ვახშაპეტი, როგორც მოვიდნენ, ისევე წა-ვიდნენ. ამ ჩვენს პლანეტას ამ აღაშინებების არც მარცხა გაუგია და არც წასვლა უგრძნია, მაგრამ ჩვენ ჩვენი სათქმელი რომ არ დავგვიწყდე-ვთქვათ, რომ ტაშიკოლა და ვახშაპეტი ისე ჩავეიდნენ თავთავიანთ საფლა-ვებში, რომ არც არასოდეს და არც არაფერში არ ჰგენებთან ერთმანეთს.

ტაშიკოლას ამფსონებმა საქმე ნახეს: ძმაკაცის საფლავისათვის მარმა-რილოზე უკრაინაში გადაცვიდნენ, სხივმფინარი გაბრო ჩამოიტანეს და ტაშიკოლას საფლავზე შავი მარმარილოს ისეთი აკლდამა ააგეს, რომ და-ნიელ ჭონქაქებს მისი ერთი ფილაც არ დაესიზმრებოდა. შავი აკლდამის ერთ კუთხეში თეთრი მარმარილოს ბიუსტი ჩადგეს, მეორეში — მოჩუქტურთმე-ბული მარმარილო, ლითონზე მოჭედილი წარწერით:

ტაშიკოლა ჩიმჩაირაჩაირას ძე

ჩიმჩაირაჩაირამაშვილი

1918—1972 წწ.

ვახშაპეტოს საფლავს დაბალი, სადა რკინის ლოზე შემოაგულეს, გულზე ჩვენი მიწა-წყლის მამაპაპისული საფლავის ლოდი დაადეს და ზედაც, რო-გორც თვითონ დაიბარა, ერთადერთი სიტყვა ამოკვეთეს:


ვახშაპეტი

იმათთვის, ვინც ვახშაპეტოს იცნობდა, ეს ერთი სიტყვაც კმაროდა, ხო-ლო ვინც არ იცნობდა, აბა, ახლა როგორღა გაიცნობდა?

მირიან ლეშავა



დღის გაზეთი



ნ. პ. პაპიძის

— არც ახლა გამოვა ჩვენი დირექტორი კაბინეტიდან?

ორუხსრობიანი განთქაობა

როცა ბინას ოცსართულიანი სახლის მეცხრამეტე სართულზე მაძლევდნენ, არ მეშინოდა.

რა მწარედ ვცდებოდი თურმე!

დიდ სიმაღლეზე ცხოვრებას მრავალი უპირატესობა ჰქონია: ჯერ ერთი, ათასობით ფეხით მოსიარულისა და მანქანების მიერ აყენებული მტვერი, თუ ქარმა არ აიტანა, მაღლა ვერ ავა. ამიტომ, მთელი დღის ჯაფის შემდეგ, შეგიძლია არხეინად წამოწვე სავარძელზე და ყლაპო სუფთა პაერი! ეს კიდეც არაფერი. მთავარი ის არის, რომ ამ სიმაღლიდან ბევრ რამეს ვხედავ. ზოგ რამეს მაშინვე ვიგებ. ზოგი კი დღესაც გაუგებარია ჩემთვის.

აი, თუნდაც ასეთი რამ: ჩემი სახლის წინ, ქუჩის ერთ მხარეს, არის რკინიგზის მაღაზია, მეორე მხარეს კი — გასტრონომი.

ყოველ დილით, როცა ქუჩეში ჯერ კიდევ სიმყუდროვია, რკინიგზის მაღაზიიდან გასტრონომში ტალიტალიკ ბიჭებს ფაცხა-ფუტხით გადააქვთ სქელი, უხეში ქაღალდის რულონები, გასტრონომიდან რკინიგზის მაღაზიაში კი — პერგამენტის დასტები.

შალვა გულუა



ნ. პ. პაპიძის

— რად გინდოდა, საიპიოში რომ ახეულა ყანფი წამოიღო?

— თამადაშა თქვა, ვინც დატყის, მისიან და იმ სომ არ დატყობა?

— რა ღირს, მოხუცო, კვა-ხი?

— სამი მანეთი.

— სუყველა ერთად?

— მასხრობ?

— როგორ გეკადრებათ! მე მგონი, თქვენ მასხრობთ!

— რა მაქვს სამასხრო, შე კაცო?!

— აბა, მე რა შემატყვევო მასხრობის? მე რას ვფიქრობდი, რომ ერთ კვასს სამ მანეთს დააფასებდით?

— მაგას, ახლა რომ ხელი მოკიდე, სამადაც არ მოგცემ!

— რატომ? გაწყენინეთ რაიმე?

— რა უნდა გეწყენინებინა? არ მიცნობ და არ გიცნობ.

— ტელევიზორი გაქვთ სახლში?

— კი!

— აბა, დამაკვირდით! ვერ მიცანით?

— ვაიმე! მაი ხარ შენ?

— დიას, მე გახლავარ!

— უყურე შენ?! კი მარა, ბიჭო, იქ რომ უფრო სახიანი ჩანხარ, აქ რამ დაგასუსტა?

— ვიტამინები მაკლია.

— მერე, ცარიელი ვიტამინი არაა ეს?

— ჰოდა, ამიტომ ვყიდულობ. ამას როგორ მომცემთ?

— მაგას ოთხი მანეთი უნდა.

— ამ პატარებს?

— პატარები რომაა, იმიტომ გაძლევ ცალს ორ მანეთად.

— სულ რა მოგცეთ ყველაში?

— ანგარიშის საქმე არაა? სულ ას ოცდახუთი მანეთი უნდა!

— ეს ჩემი ერთი თვის ხელფასია!

— კაი, გაჩერდი! რასაც შენ ხელებს შლი და ამბავში ხარ... არადა, არც ისეა საქმე. ამ კვასს, იცი, რამდენი მუშაობა უნდა? ჯერ ერთი, მოიკიდეთ ერთი ზურგზე, რაფერი მოსაკიდებელია. ეს, რა იცით თქვენ, ქალაქელებმა! ტვირთი დაგწოლია როდესმე ზურგზე?

— გააჩნია, რა ტვირთი, ცოტ-ცოტა რადაც ტვირთი ყველას გვაწევს მხრებზე. დავიჯერო ახლა, სოფლიდან აქამდე ზურგით ჩამოიტანეთ?

— კაცო, ზურგით რატომ უნდა ჩამოიმეტანა? ნიკოლოზას დროა?

— ტაქსით?

— არა.

— ავტობუსით?

— არც ავტობუსით, მანქანა მყავს, ჩავაწყვე შით და ჩამოვიტანე.

— ამას როგორ მომცემთ?

— ამას ხუთად.

— კი მაგრამ, ეს სომ ამაზე პატარაა?

— კი.

— მერე?

— მერე ის, რომ აგი ხაპია და აგი ხაპერა.

— რამ განასხვავა ხაპი და ხაპერა?

— ხაპი კანინად იჭმება, ხაპერა — უკანოდ.

— ამას და ამას ექვს მანეთად ვერ მომცემთ?

— იი არ მიგაქვს?

— არა.

— ვერა!

— ამას და ამას ხუთად?

— აი და მაი ხუთად და იი არ მიგაქვ?

— ...

— ვერა. რა გევიკვირე? რე-იზა გევიკვირე? მაგალითად, თქვენთან რომ შემოვიდე ოპერაში, შაურს დამიკლებთ?

— კი მაგრამ, თქვენი შრომის საფასური სომ უნდა შეუფარდოთ რამეს? მაგალითად, ამ ერთ ხაპერას...

— მაგი ხაპია.

— თუნდაც ხაპის საფასურით იყიდით ერთ ჩითის საკაბეს, ერთ კილო შაქარს, ორ კილოგრამ პურს, შემდეგ ათშაურნიანი ბილეთით შემოხვალთ ოპერაში, სადაც ასი კაცი სამი საათი ოფლში იღვრება იმისათვის, რომ თქვენ გასიამოვნოთ და მერე...

— რა მერე?

— რა და, მე სომ ვიცი, როცა სახლში მიხვალთ, თქვენ მაინც უკმაყოფილოდ დაგემინებათ.

— რეიზა?


— იმიტომ, რომ ოცი ცალი ხაპი სამ-სამ მანეთად რომ გავყიდო, ის ოცდამეერთე ორად რატომ მივეციო.

— მაი მასეა, არ იცი? შენ რომ კონცერტზე გამოხვალ, მთელი დარბაზი რომ ტაშით დაინგრეს, კონცერტს მერე რომ ლოგინში ჩაწვები და მოიგონებ, მთელი დარბაზი რომ ტაშით ინგრეოდა, იი ერთი კაძახი, შემოთ გალიორკაზე რომ ათშაურიანი ბილეთით იჯდა, ტაშს რეიზა არ უკრავდაო... იცი, იხ კაცი ვინ იქნება?

— ვინ?

— მე.

ნოდარ მაღაზონია



როსან ბონავი

ლაგაზი ღღევი

— კარგა ზღვაზე მზით გაშვება, — გვითხრა ეულტმუშავე, — არც კარგის თამაშია ცუდი, მაგრამ ჩვენ გვაქვია, აი, ის... რაზე გვაგვიტოლშობილებელი.

— რაზეა ლაგაზი? — ვიკითხეთ და მზერა ჩვენს ჩუბტებზე გადავტანეთ.

— რაზე და სილაზაზე, პარიზიელთაზება ლაგაზი, უფრო ზუსტად იქ ქალზე, მაგრამ უბრალო ქალზე იქ არა, არამედ ისეთზე, ვისაც პარიზიელი სხეული აქვს. ჩვენ უნდა გამოვამზებუროთ იგი! — პათოსური ლაბიათა სიტყვა ეულტმუშავემ. ეს იდეა უსიტყვოდ ავიტაცეთ.


ველაზე უფრო საუბრისმგებელი დამსვენებლები ეთორიში შევედით.

ნაელაზე პასუხისმგებლმა კი სცენის მოწყობა დაიწყო.

მაღ კონკურსის დღეც მოვიდა: „ქალი ეველაზე ლამაზი ღღევი“.

მთელი დასასვენებელი სახლი პლაჟზე გამოეფინა. რუპორიდან გაისმა თეატრული სიმღერები: „ორიდან რომელი აფირიოთ!“, „ლამაზი ღღევი“, „ლამაზი ქალი!“ და, ეშმაკმა უწყის, კიდევ საიდან შემორჩენილი, ჩვენი ასეული...
ეთორიში მიჩნეული ადამიანი დაიკავა და ისტრადან დაიწყო მომავალზე გამოცდა. მათ შორის ბევრი მზეთუნახავი იყო, მაგრამ როდესაც მხოლოდ მისი გამოვიდა, მაშაყვებში მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ესთეტიკური ხასიათის გამომსახველი შემახილები გაიძმა. ქალბები კი გულწრფელ მეგობარულ შერის ატბოყფეთის ნიშნად დაქროლა. კონკურსის დამთავრდა და ეთორის მთელი შემაღდგენლობა შევიკრიბეთ სამუშაოდ.

ჩვენი სამუშაო ამოწურული იმით, რომ სილაზის გვირგვინი ნინასათვის მივეცა (ეს, რა თქმა უნდა, ეველასათვის ცნობილი იყო).
— ნინა პასუხებს ზოგიერთ პირობას, — დაიწყო ლაგაზი ეთორის თამაშებში, — მასში პათოსული დამალულია რაღაც პარიზიელი და თუ იგი მას განავითარებს, ძალიან შორს წავა. მაგრამ მე მაინც მაქვს ზოგიერთი შენიშვნა. პირველი: მას საბანაო კოსტუმი რაღაც განსაკუთრებული აქვს...




— რა შეუაღია კოსტუმი! — აღმწოდდა ეთორის სხვა წევრი, — დე, აღმაინა შეგხედოთ კოსტუმის მიღმა დე, გავხაზოთ ეს კოსტუმი და უფრო ღრმად, უფრო დაკვირვებითა და გულისხმიერებით ჩაგხედოთ მას. რას დაგინახავთ ჩვენ? — და მან გადახედა ჩვენს გვერდებზე, მეტრ თავებს.
— ესენიდასმა! აი, რას დაგინახავთ ჩვენს ჩამოხატვა სიტყვა რომელიღაც წევრმა, — მე მისი კოლგა ვა და პირდაპირ ვიტყვი: რამდენიმე წლის წინ მან სასახლებში დაიგვიანა რაღაც ოჯახური საქმეების გამო...
— დაანებეთ თავი ამ ოჯახურ მიზეზებს! — წამოიძახა გამწარებულმა ეთორის ეველაზე ნერვულმა წევრმა, — ჩვენ ეთორის წევრები ვართ და უკონკრეტო, რომლებიც ქალიშვილის პირად ცხოვრებაში ვეფთხე ცხოვრებ? ნინა აქ ეველაზე ლამაზია, საყმათო არაფერია, ეს ეველასათვის ნაოლია!

— სწორედ ამ მიზეზს გამო არ შეიძლება მისი დაკვირვება, დაევიტოლოთ სხვა, რათა ნათელი გახდეს ის, რომ ჩვენ, ეთორი, კი ვემორჩილებით საერთო გემოვნებას, რომ ჩვენ გვაქვს რაღაც მიუწვდომელი საიდუმლო მოსაზრებები!

— მე სადღაც ვაგვიტოვებ, — დაიწყო შვენიბრად ცნობილმა ეთორის წევრმა, — რომ შევინერგო მათ პოეტურეს პოეტურულ ქვეყნებში გაეხიზნა: ნათაზანებია. აღმაინა ის შეუღლია შესვლის ბუნების კანონები, მაგრამ უნდა ეცადოს, გასწოროს მისი შეცდომები. ბუნებამ ნინა დააქოლავა სილაზიში, ხოლო ჩვენ რომ დავაქოლოთ რა...

შეპა რამდენიმე წლის შემთხვევითი გეომორფა ლაგაზი ეთორულ „ნინა გ. ს. ა. და ბუღალატიუს საბრძოლ-იუმორისტულ ბაზით „ს.ბ.ბ.ბ.ს. შორის. კვ. რა-ლაკიტიანის თანაშრომელთა ბავშვთა-ბავშვულ ტრადიციულ ნიშნად, წლის აკლავა ბავშვ-ბიძე „ს.ბ.ბ.ბ.ბ.ს. წარმომადგენლები — მხატვარი ნინო სიმონიშვილი და მწერალი როსან ბონავი. ავანტური ბავშვანობა ბათ გასაუბრე.



ნინო სიმონიშვილი



— შეიძლება მოვიგონოთ უფრო სასიამოვნო მოთხრობები, — არა გამოთქვა ანამ, — ჩვენს თავს საჩუქრები გავუცეთოთ, წერილმანი, მაგრამ სასიამოვნო. მავალითად, მე ვენერატაფის ეთილი წინდებს, ვეტყვი ვალაყარ შენი ძველი წინდები-მეტი. ის ვალაყარ, მე კი მივეცე ახლებს.
— ძალიან კარგი იქნება, — თქვა ვენეტამ.
მისკელის კიდევ რამდენიმე შტაფს საიოსხუ... ახალი წელი წინასწარი გეგმის სრული დაცვით წავიდა.

ველაზე კარგი დრო დანაშ გაატარა, სიცილით მოცდა და ბევრიც ისიამოვნა.

მის გარდა არავის გატენება და არც არავის გაკერებება: მის ხომ ეველადერი მზად დახვდა?

საგაზაფხულო სამაგრი

დაწასაზღვრების მდივანი — შვენიერი ქალიშვილი — მეოცნებე, მომღიზიარ თვალებით ელოდა ტელეფონის ზარს.

წიხელ იგი გაიკარა ახალგაზრდა კაცმა, ელაპარაკა: „გაზაფხული, გაზაფხული...“ და მან მისკის თაფისი კაშკაშის ტელეფონის ნოჟერი. ახალგაზრდა ეთორი, რომ დილით დაფრეკავდა და მომალა-რაყენდნ შეგხედარაზე.

ტელეფონმა დარეკა... ქალიშვილმა სწრაფად აიღო ყურდონი და მისგან უფროსის ხმა:

— სასწრაფოდ მომიტანეთ ერთი სამაგრი!

მდივანმა უცრა გამოაღო, მოქება, შეხედა კარდენში, არც ერთი არ აღმოჩნდა და მოასწავა უფროსის. უფროსი ავიდოდა და გაგზავნა საყიდლად. ქალიშვილმა მწუხარულ შეხედ ტელეფონს და ქალკეში გამოვიდა. „ბიჭურიბაი!“ — ფიქრობდა იგი თავის უფროსზე, — „უფროსი კაცი, დაწესებულების ვირთხა, ასეთი აღმასიისთვის არც გაზაფხულია, არც გრძნობა. მისთვის მოვარია მხოლოდ სამაგრი!“

მდივანმა ქალმა ნახა სამაგრიები, იყიდა ერთი ყუთი და მოეტანა თავის უფროსს. მეტი ისევ ხალხიანად შეხედა მუშაბრულ ტელეფონს. უფროსმა გახანს ყუთი, ამოიღო ერთი სამაგრი და ყურადღებით შევიტარა ორი ქაღალდი, მის მავიჯიზე რომ იღო. პირველი ფურცელი იწებებდა ასე: „ფიქრფასო მარია! მოვიდა გაზაფხული და ჩემი სიყვარული უფრო გაიჭირდა“.

თარგანა ბარი მხატვრული

მელოდა ელაგაზო ქალიშვილი, რა ბალანს გვექნება?

— ნურავისა! ნუ დავაქოლობით! — გამოვთქვი ჩემი აზრი, — ნუთუ დაგვაფუქდა, რა მიზანი ჰქონდა ამ კონკურსს? გავაქოლოშობილით ჩვენი დავეყენებ უკვე ხომ ნათელია, რომ, თუკი ჩვენ ვინმეს დავაქოლობით, დაწევაზე განსეთილებლა.

ბოლოს და ბოლოს, ეთორი გამიჩინა გადაწყვეტილება: „შენარჩუნებულ იქნეს პარიზიული ურთიერთობა დამსვენებლებს შორის. ვადგენი, რომ ჩვენს დასასვენებელ სახლში ლამაზი სხეული არც ერთ ქალს არ აქვს!“

მომავალში ზიზი

გადავწყვიტეთ, ამ წელს განსაკუთრებული რამ გავაქოლობინა: ისეთი, რასაც აქამდე არ ვაქოლებდით. ერთი სიტყვით, ლზინი რომ მართლაც ლზინი იქნებოდა.

ცნობილია, რომ კარგი საქმე უბრალოდ არ ეთდება, იგი მოითხოვს მომადლებას. აი, რატომ შევკრიბეთ მთელი ჩვენი მეგობრები მოსამზადებელი სხილისათვის. მხოლოდ დანაში არ იყო ჩვენიან, ზეტლიდანა სადღაც აღმ-დაღმა. მას ჩვენივეს პირდაპირ სუფრაზე უნდა მოესწრო.

პირველად გულდასმით განვსაყეთ, ვინ რას იყოღდა, როგორ მოამზადებდა და რამდენს. ამის შემდეგ გადავდეთ მხარულ ნაწილზე. ეთორი

შევიკრიდა, ანეკდოტებს მოვეყვებით. იცოდა ორი ახალი ანეკდოტი და, მოვეცხობდა თუ არა, სიცილით მოგვეკლავდა.

— ვიკი შენი ანეკდოტები, — შეაწყვეტინა გენჩიმ, — ყოველთვის ამბობ, რომ მზიარულია, ბოლოს და ბოლოს კი...

— რა ბოლოს და ბოლოს? — უპასუხა ვიტორმა, — ბოლოს ბრუნდება მისი ქმარი და... მაგრამ, ჯობს, თავიდან მოვიციკეთ...

და მან გვიამბო ორი ახალი ანეკდოტი. ერთი მოგვეწონა და ვუთხარი, რომ შეუძლია იგი საახალწლო მოგვიყვას. მეორე კიბა გაქიანტებულ მოგვეჩვენა. ვიტორმა იგი ჩვენს თვალში შეამოკა. ეს ანეკდოტიც მივიღეთ შემოცნებულად.

— ანეკდოტების მხრივ მზად ვართ. — თქვა გენჩიმ, — მაგრამ საჭიროა ზებობებიც იყოს, მე მხედველობაში მაქვს რაიმე ძალდატანებელი გადაწყვეტი, იმ საყმზე, სადღაც მიტოვ უნდა დაედეს, სადღაშოდ დაველოცო ერთი ზეპარტი, რადგან, როცა შევსება, მამზებ წამოხტება, ეს კი ძალიან სასაცილოდ მოგჩვენება ყველა.

— ძალიან უნებო ხომ არ იქნება? — ეთიბა თვით მიტომ, — ცოტა სულელურად შეგჩვენება ყოველზე ეს, რაღაც ეთიტიტიტი უფროა!

— სასაცილოა, — დიდად მისი იმდოდა გენჩი, — როგორც დაველი და შევსება, დაღწევა იქნება, რომას და ნახა, რა სასაცილო იქნება.

— ასე შეიძლება, — დთანამდ მიტოვ, — თუ დაღწევა იქნებოდა, მართლაც კარგი იქნება, მხოლოდ მოავარია, ეს არ დამავიწყდეს.



ქუჩის გოგონაილი 60 წლისა

ცნობილ ქართველ მწერალს — კუპურის გოგონაილი დაბადების 80 წლისთავი შეუსრულდა. იგი 24 საბავშვო წიგნის ავტორია. ოთხჯერ მიიღო პრემია საქ. სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებზე. ჩვენს საბავშვო თეატრებში დაიდგა მისი მრავალი პიესა.

ღვაწლმოსილ იუბილარს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის ქართული საბჭოთა სატირისა და იუმორის განვითარების საქმეში. 80 წელზე მეტია, აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს ჟურნალ „ნიანგში“, სადაც კ. გელათელი და სხვა ფსევდონიმებით აქვეყნებს საინტერესო მასალებს. გამოცემული აქვს სატირული-იუმორისტული ნაწარმოებების 17 წიგნი, აქედან 6 — „ნიანგის“ ბიბლიოთეკის სერიით. მის სკეტჩებს, ფელეტონებს, ლექსებს, პიესებს, მონიატურებს წარმატებით ასრულებდნენ და ასრულებენ ქართული ესტრადის გამოჩენილი მსახიობები.

მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

ჩვენი რედაქციის კოლექტივი სულითა და გულით ულოცავს „ძველ ნიანგელს“ — კუპურს გოგონაილს დაბადების სამოცი წლისთავს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

შოკალუნი ანსამბლავის შესახებ

ამდგავარად თუ გაგრძელდა, შევიქნები დასაბამელი: ერთიანად გაგვიმრავლდა ვოკალური ანსამბლები. რამდენია? რამდენიც გსურთ: „აბა, ჰე“ და „ოდელია“, „ბუქნა“, „როკვა“, „განდაგანა“, „გულზე ცეცხლი მომდებია“. უკრავენ და რას უკრავენ, რომ ვიჯექი სკამზე ერთ დღეს, ვფიცავ, ყურის ბარბანი მთლად კინალამ გამიხეთქეს! რახარუხი, ბრახაბრუხი, ხალხი ტოვებს სწრაფად პარტერს, კენწეროზე ყვავი თუ ზის, შეჭველად ჩამოაგდებს. ვინ უცქერის ზომა-წონას, ტურებივით გაჰკივიან, სცენაზე მას აკეთებენ, რასაც თვითონ დასცინიან. ესპანურად კნავის ცაცა, ინგლისურად — იპოლიტე, მე გულზე ვარ გახეთქილი, — უყვირიან: „კიდე! კიდე!“ ეჰ, ასეთი ანსამბლები ღმერთმა ყველას აგვაშოროს! თუ დროზე არ ვუმკურნალეთ, რაც მოხდება, ვნახავთ ბოლოს!

კუპური გოგონაილი



ქართული
ბიბლიოთეკა

(ფსიქოლოგიური ეტიუდი)

რედაქციის ერთ-ერთ განყოფილებაში ლანდებივით მოჩანან თამბაქოს ბურუსში გახვეული, ქაღალდებში თავჩარგული განყოფილების გამგე და რამდენიმე თანამშრომელი. იღება კარი და შემოდის სრულიად უცნობი პიროვნება. თანამშრომლებმა ერთმანეთს გადახედეს, უნდოდათ გაეგოთ, ვისი სტუმარი იყო. მაგრამ ერთმანეთისაგან, გაოცების მეტი, ვერა ამოიკითხეს რა. მერე ერთბაშად მზერა განყოფილების გამგეს მიაპყრეს... განყოფილების გამგეს ფერი წასვლიდა და თანამშრომლებისაგან ელოდა შველას. როცა თანამშრომლები თავისივე დღეში დაინახა, სათვალე მოიხსნა და ისევ გაიკეთა. სტუმარმა უხერხულად იგრძნო თავი, სათითაოდ შეხედა ყველას და ისე მორიდებით წარმოთქვა გამარჯობათო, თვითონაც შერცხვა.

— ღმერთო, გვიხსენი! — გაიფიქრა გულში ერთმა თანამშრომელმა.

— არავისთვის ცუდი არ გამოიკეთებია, მე რას მერჩით? — დაიმშვიდა თავი მეორემ.

ყველამ გადაავლო თვალი თავის წარსულს და დაიმედებულებმა განაგრძეს უცნობის მზერა. სტუმარი განყოფილების გამგისკენ გაემართა, როგორც მოსალოდნელი იყო, მასალა მიართვა და დასძინა: თუ შენაძლებელი იქნება, გთხოვთ, დამიბეჭდოთო. განყოფილების გამგე უმაღლეს დათანხმდა. სტუმარმა მოიბოდიშა, დაემშვიდობა ყველას და კარები მიიხურა. განყოფილების გამგემ ამოილუნთქა...

— გადავრჩით! — ჩაილაპარაკა ერთმა თანამშრომელმა.


— ვერც კი შეამჩნევ, რომ გიყია, ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას კი სტოვებს, — დაუმატა მეორემ.

— ამაზე მეტი სიგიჟე რა იქნება? მარტო მოვიდა და წერილის დაბეჭდვა ითხოვა! — ვერ დაფარა აღშფოთება პირველმა.

— რა იკით, იქნებ აწი დარეკოს ვინმემ?! — ჩაილაპარაკა მესამემ და მხრები აიჩეჩა.

ნოზაღი ბართაია

ნახ. ჯ. ლოლუაძე



— სვალ ხელს ვაწერო და, თუ ძმა ხარ, გაგიწმინდო, ვნახო პრისი, რას წარმოადგენს!

